


შპს „აი ტი გრუპის“ 31 დეკემბრით დასრულებული 2022 წლის
ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობა

	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020	შენიშვნა
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	568 901	827 801	877 073	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	1 662 958	871 584	557 749	3.2
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	2 400	2 400	2 770	3.3
მარაგები				
- მზა პროდუქცია				
- სხვა				
საინვესტიციო ქონება				
სხვა მიმდინარე აქტივები	191	136	16	3.4
ბიოლოგიური აქტივები				
- თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3 200	3 490	2 961	3.5
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	2 237 650	1 705 411	1 440 569	
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	674083	547439	347281	3.6
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	15			
საგადასახადო ვალდებულებები	36858	19397	27342	3.7
გამოუმუშავებელი შემოსავალი	87 183	32 654	29 645	3.8
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები				
მიღებული გრანტები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	798 139	599 490	404 268	
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')				
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	1 439 511	1 105 921	1 036 301	3.9
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები				
სულ საკუთარი კაპიტალი	1 439 511	1 105 921	1 036 301	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2 237 650	1 705 411	1 440 569	


შპს „აი ტი გრუპ“-ის დირექტორი
შპს „აი ტი გრუპ“-ის ბუღალტერი



საქმიანობის შედეგები

	2022 წელი	2021 წელი	შენიშვნები
ნეტო ამონაგები	26 453 970	14 832 473	
საქონლის გაყიდვიდან			
მომსახურების გაწევიდან	26 447 454	14 790 345	3.10
სამშენებლო ხელშეკრულებიდან			
სხვა	6 516	42 128	3.10
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(31 069)	(37 655)	3.10
საწყისი მარაგები			
მარაგების შესყიდვა	(31 069)	(37 655)	3.10
გადამუშავების დანახარჯები			
საბოლოო მარაგები			
საერთო მოგება	26 422 901	14 794 818	
სხვა შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	(552 651)	(460 391)	3.11
ცვეთა და ამორტიზაცია	(1 570)	(1 479)	3.11
საპროცენტო შემოსავალი:	12 888	14 994	3.11
საპროცენტო ხარჯი:			
ოჯარის ხარჯი	(24 407)	(15 254)	3.11
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(23 801 345)	(13 205 712)	3.11
სულ საოპერაციო ხარჯები	(24 367 085)	(13 667 842)	
საოპერაციო მოგება	2 055 816	1 126 976	
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები			
მარაგები			
სხვა არაფინანსური აქტივები			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	(100 094)	(71 518)	3.13
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	18 735	4 874	3.12
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერ:	1 974 457	1 060 332	
მოგების გადასახადი	(246 130)	(148 607)	3.14
მოგება/(ზარალი)	1 728 327	911 725	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რევერცი			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	1 728 327	911 725	
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1 105 921	1 036 301	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(1 394 737)	(842 105)	3.14
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1 439 511	1 105 921	

შპს „აი ტი გრუპ“-ის დირექტორი
შპს „აი ტი გრუპ“-ის ბუღალტერი



2022 წლის ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „აი ტი გრუპ“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2013 წლის 22 ივლისს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 405001894 , იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, საბურთალოს ქ., N 43. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის ერთადერთი, 100%-იანი წილის მფლობელია გიორგი წიკლაური (პ.ნ.01024036689).

1.3. კომპანიის დირექტორია გიორგი წიკლაური (პ.ნ.01024036689).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ტრანსპორტირების სხვა დამხმარე საქმიანობები, სახმელეთო ტრანსპორტთან დაკავშირებული მომსახურება, საზღვაო და საკაბოტაჟო სატვირთო ტრანსპორტი, გადაზიდვის მომსახურება, სატვირთო საგზაო ტრანსპორტი.

1.5. კომპანიას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული

კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას

მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალებების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალებების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩათვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

კავშირგაბმულობის მოწყობილობები - 5 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობა - 5 წელი;

ოფისის აღჭურვილობა კომპ. ტექნიკის გარდა - 5 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;

ინვენტარი - 5 წელი;

სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები - 5 წელი;

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 6-7 წელი;

1000 ლარზე ნაკლები ღირებულების ძირითადი საშუალებები - 2 წელი.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

2022 წელს საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.7020 ლარი;

1 EUR=2.8844 ლარი.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.0976 ლარი;

1 EUR=3.5040 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	24		33
ლარი საბანკო ანგარიშებზე	568867	827793	778419
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	9	8	9160
ევროები საბანკო ანგარიშებზე	1		89461
სულ:	568901	827801	877073

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები რეზიდენტების მომსახურებიდან	1589694	800540	453710
სავაჭრო მოთხოვნები არარეზიდენტების მომსახურებიდან	73264	71044	104039
სულ:	1662958	871584	557749

2022 წლის ბოლოსათვის, კომპანიას საექვო ვალები არ აქვს. გადაუხდელი მოთხოვნებიდან, მხოლოდ 3 არის საქართველოს არარეზიდენტი იურიდიული პირი.

3.3. გადახდილი ავანსები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
რეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	2400	2400	2771
სულ:	2400	2400	2771

3.4. სხვა მიმდინარე აქტივები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
წინსწრებით გადახდილი გადასახადი	191	136	16
სულ:	191	136	16

3.5. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	2022 წელი ზრდა ან შემცირება	2022 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	2021 წელი ზრდა ან შემცირება	2021 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
კავშირგაბმულობის მოწყობილობები	1		-452	453		-775	1228
ოფისის მოწყობილობები კომპიუტერული ტექნიკის გარდა	1174		-335	1509	1677	-168	
კომპ. ტექნიკა და პერიფერიული მოწყობ-ები	1735	1280	-470	925		-343	1268
ავეჯი	165		-117	282		-116	398
1000 ლარზე ნაკლები ღირებულების ძირითადი საშუალებები	125		-196	321	331	-77	67
სულ:	3200	1280	-1570	3490	2008	-1479	2961

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

3.6. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	179678	438337	271
დავალიანება არარეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	494405	109102	347010
სულ:	674083	547439	347281

31.12.2022 წ. მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა კრედიტორული დავალიანება 8 რეზიდენტი მიმწოდებლისა და 4 არარეზიდენტი მიმწოდებლის წინაშე.

3.7. საგადასახადო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
ვალდებულებები თანამშრომლების წინაშე	15		
მიმდინარე საგადასახადო დავალიანება	36858	19397	27342
სულ:	36873	19397	27342

36873 ლარს შეადგენს დეკემბრის თვეში გადახდილი გადასახადები, რომლებიც დადეკლარირებული იქნა 2023 წლის 15 იანვრისთვის.

3.8. სხვა ვალდებულებები

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
სხვა ვალდებულებები (მიღებული ავანსები)	87183	32654	29645
სულ:	87183	32654	29645

31.12.2022 წ. მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა 4 რეზიდენტი დებიტორისგან მიღებული ავანსები, რომელზეც გაწეული იქნა მომსახურება 2023 წელს.

3.9. საკუთარი კაპიტალი:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
გაუნაწილებელი მოგება	1439511	1105921	1036301
სულ:	1439511	1105921	1036301

კომპანიის 2022 წლების მოგება შემცირებულია მოგების გადასახადის მხოლოდ იმ ოდენობით, რაც წარმოიშვა 2022 წელს გაცემული დივიდენდებიდან (მოგების განაწილებიდან).

3.10. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2022 წელს კომპანიის ნეტო-ამონაგები ძირითადად შედგებოდა საერთაშორისო სატრანსპორტო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლებიდან.

	2022 წელი	2021 წელი
საერთაშორისო გადაზიდვებზე გაწეული მომსახურებიდან შემოსავალი	26447454	14790345
სხვა შემოსავალი	6516	42128
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	-31069	-37655
სულ:	26422901	14794818

ძირითადი შემოსავალი რეალიზაციიდან არის მიღებული მომსახურებიდან. სხვა შემოსავალი წარმოადგენს საქონლის რეალიზაციას.

3.11. სხვა შემოსავლები და საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2022 წელი	2021 წელი
ხელფასი და მასთან გათანაბრებული სარგებელი	-548233	-457351
გადასახადი საპენსიო ფონდში ხელფასებიდან	-4418	-3040
ცვეთა და ამორტიზაცია	-1570	-1479
ფინანსური შემოსავლები (საბანკო ანგარიშებზე დარიცხული პროცენტი)	12888	14994
იჯარის ხარჯები	-24407	-15254
ქონების გადასახადის და სხვა საგადასახადო ხარჯები	-43	-32
ტვირთის გადაზიდვის მომსახურების ხარჯი	-23736158	-13149993
ტვირთის დაზღვევის და სხვა მიწოდების ხარჯები	-16229	-28785
საკომუნიკაციო ხარჯები	-9096	-8665
საბანკო ხარჯები	-6765	-5205
საბანკო ხარჯები კონვერტაციის დროს	-10339	
კომპიუტერის ხარჯები	-1670	-1695
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-18048	-11337
სულ:	-24364088	-13667842

3.12. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯები:

	2022 წელი	2021 წელი
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	21594	4944
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	-5856	-70
სულ:	15738	4874

3.13. წმინდა შემოსაულობა/დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან

	2022 წელი	2021 წელი
დადებითი საკურსო სხვაობები	244232	53433
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-344326	-124951
სულ:	-100094	-71518

3.14. საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი:

კომპანიის 2022 წლის ფინანსური შედეგი შემცირებულია იმ მოგების გადასახადის ხარჯით, რომელიც წარმოიშვა 2021-2022 წლის მოგებიდან დივიდენდების გაცემის შედეგად („ესტონური მოდელის“ შესაბამისად) 2022 წელს.

	2022 წელი	2021 წელი
გაცემული დივიდენდები 2020 წლის	-1394737	-842105
გაცემულ დივიდენდებზე გადახდილი მოგების გადასახადი	-246130	-148607
სულ:	-1640867	-990712

3.15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 2 სექტემბერს.